

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

ლელა დევაძე

ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თავისებურებები
საქართველოში და გლობალიზაციის გამოწვევები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ბათუმი - 2025

ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივ დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირმა ჩხაიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

უცხოელი შემფასებელი:

შუბალი ოლექსანდრ

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლუცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შემფასებლები:

ასიე ცინცაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბადრი გეგზაია

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ფარესაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2025 წლის 20 ივნისს 12:00 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35 აუდიტორია N423

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში - www.bsu.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ლეილა ცეცხლაძე, ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე გარემო მუდმივად ცვალებადია და ამ ცვლილებების სისწრაფის განმაპირობებელ პერიოდად ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სახელდება „თანამედროვე პროექტის მართვის ერა“, რომელიც დაიწყო მე-XX საუკუნის 50-იანი წლებიდან და XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა. გლობალურმა ინოვაციურმა გამოწვევებმა, მომხმარებელთა სწრაფად ცვალებადმა მოთხოვნებმა, მსოფლიო ბაზარზე კომპანიების მიერ კონკურენტუნარიანობის მოპოვებისა და ლიდერული უპირატესობის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ, მოულოდნელმა Covid-19 გამოწვევებმა ქვეყნები დააყენა იმ რთული გამოწვევების წინაშე, რამაც მოკლე დროში ინოვაციური ბიზნეს პროდუქტების განხორციელება აუცილებელ პირობად გადააქცია.

Covid პანდემიის და პოსტკოვიდურ პერიოდებში მსოფლიოს ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც წარმოებისა და მომსახურების სფეროში განხორციელებადი ინოვაციური ბიზნეს პროექტების რიცხვი მზარდია, რასაც განაპირობებს: ერთი მხრივ სახელმწიფოს სტრატეგიული ინოვაციური პოლიტიკის გააქტიურება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევისათვის, სტარტაპ ეკოსისტემის შექმნისა და გლობალურ ინოვაციურ ინდექსში საწყისი პოზიციების დაკავება და, მეორეს მხრივ, მსოფლიო ბაზარზე კომპანიების მიერ კონკურენტუნარიანობის მოპოვება, როგორც შიდა და გარე ფაქტორების ცვლილებების შესაბამისად ასევე პროექტის მენეჯმენტის სირთულეების მიუხედავად.

Covid 19-ის პერიოდში სრული უმართაობის და მკაცრი რეგულაციების პირობებში მყოფმა ბიზნეს სექტორმა, გარემოსთან ადაპტირების მიზნით არა მხოლოდ გაზარდა მოთხოვნა თანამედროვე მართვის უნარების მქონე პროექტის პროფესიონალ მენეჯერებზე, არამედ დაიწყო პროექტის მართვის მეთოდოლოგიის დახვეწა, რომელიც დაეფუძნა „ტრადიციული“ და „მოქნილი“ მართვის მეთოდების მნიშვნელოვანი ელემენტების კომბინაციას. მართვის ახალი მეთოდები ითვალისწინებს პროექტის დროითი და ფინანსური რესურსების ეფექტურ მართვას, ხარისხზე ორიენტირებული პროექტების წარმოებას მოტივირებულ გუნდთან ერთად.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული დღემდე მზარდია პროექტის მენეჯმენტში წარმოქმნილი პრობლემები, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში: აშშ-ში, გერმანიაში, ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ბრაზილიაში, გაერთიანებული სამეფოში, კანადაში, ავსტრალიაში, საუდის არაბეთში და ა.შ. ქვეყნებში. იქ, სადაც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლებიდან განახორციელებდნენ პროექტის მენეჯმენტს მეთოდოლოგიური პრინციპების პრაქტიკული რეალიზებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, დღესდღეობითაც არაერთი პრობლემაა პროექტის მენეჯმენტში.

პროექტის მენეჯმენტში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისას პროექტის არაეფექტური მენეჯმენტის უმთავრეს პრობლემად დასახელდა პროექტის არაპროფესიონალი მენეჯერები, რომლებიც არ ფლობენ ცვალებად გარემოში ფაქტორებზე სწრაფი რეაგირების, სტრესისა და ემოციების მართვის, კრეატიულობის, რესურსების ეფექტური მართვის, გუნდის წევრებს შორის ფუნქციების სწორად გადანაწილების, გადაწყვეტილებების მიღების, შედეგების გაანალიზების და ა.შ. უნარებს.

ამრიგად, ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვა თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც გვკარნახობს კომპანიის სტრატეგიასთან ინოვაციური სტრატეგიის ინტეგრირებას და მისი რეალიზების საფუძველზე რადიკალური და ეტაპობრივი ინოვაციის დანერგვას არა უბრალო ცვლილებებისათვის, არამედ იმ ახალი პროდუქტის, სერვისის, პროცესის შექმნისათვის ან გაუმჯობესებისთვის, რომელიც ქმნის ღირებულებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თავისებურებებისა და მენეჯმენტის პრობლემების დადგენა და მათი გადაჭრის გზების პოვნა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის არსებული დონისა და განვითარების ტენდენციების ანალიზი საქართველოში;
- ინოვაციური ბიზნეს პროექტების შემუშავების პრინციპების, რეალიზების სიხშირის, მართვის თავისებურებებისა და მართვის სისტემაში არსებული პრობლემების დადგენა;

- პროექტის პროფესიონალი მენეჯერის როლისა და მისი უნარ-ჩვევების განსაზღვრა გლობალიზაციის გამოწვევების შესაბამისად;
- ინოვაციური ბიზნეს პროექტების ეფექტური მართვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ბიზნეს პროექტების მენეჯმენტში არსებული პრობლემების და პროექტის მართვის მეთოდებით დაინტერესებული უცხოელი და ქართველი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომები.

საკითხის პრაქტიკული გაანალიზებისათვის გამოყენებულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) (2014-2024), ინოვაციური ბიზნეს ხელშეწყობის პროგრამის - „სტარტაპ საქართველოს“ (2014-2024), სახელმწიფო უწყების - სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს (2014-2024), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (2019-2024), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (2019-2024) მონაცემები, „საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, დადგენილებები, ბრძანებულებები და ა.შ., სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკურ-სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ნაშრომში ინდუქციის და დედუქციის მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით შესწავლილია საქართველოს მთავრობის მიერ რეალიზებადი ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება და ვითარდება გლობალური ინოვაციური გარემოს განვითარების მოთხოვნების შესაბამისად და ეფუძნება ტრადიციულ, ინსტიტუციონალურ თეორიებსა და ნაშრომებს.

ნაშრომში, ანალიზისა და სინთეზის მეთოდური პრინციპების გათვალისწინებით, ცალკე-ცალკე შესწავლილია ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თავისებურებები; გაანალიზებულია პროექტების მენეჯმენტში არსებული პრობლემები, რაც სტარტაპების წარუმატებლობის მიზეზებად სახელდება. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა Google-ის ელექტრონული ანკეტები, რომლის საშუალებით გამოკითხულნი იყვნენ სასტუმროების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები. სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა საქართველოში მოქმედი ინოვაციური სტარტაპების ავტორები და მენეჯერები, რომლებიც მომსახურებისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში სხვადასხვა პროექტებს

განხორციელებენ. ემპირიული დაკვირვების მეთოდის გამოყენებით განხორციელდა ქართული სტარტაპების სასიცოცხლო ციკლის ფაზების შესწავლა გაანალიზება.

სტატისტიკური აღწერის მეთოდის გამოყენებით შეფასდა საქართველოს რეიტინგი ინოვაციების გლობალურ ინდექსში, დადგინდა სტარტაპ საქართველოს, „აწარმოე საქართველოს“, „EU4Business“ მიერ ინოვაციური ბიზნეს პროექტების დაფინანსებაზე გაცემული ჯამური სესხი და ინდუსტრიების მიხედვით დაფინანსებული ინოვაციური პროექტების რაოდენობა. განისაზღვრა საქართველოში GITA პროგრამის გრანტებით დაფინანსებული სტარტაპების რაოდენობა. შეფასდა ქართული სტარტაპების მიერ მიღებული გრანტებისა და მოძიებული დაფინანსებების შედეგიანობა. სტატისტიკური დაგეგმვისა და დასკვნის მეთოდის გამოყენებით დადგინდა ბიზნეს პროექტებში არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავდა პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები.

კვლევის ობიექტი და საგანი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის სფერო. კვლევის საგანია საქართველოში მომსახურების სექტორში განხორციელებული ინოვაციური ბიზნეს პროექტების მენეჯმენტის მონიტორინგი და კონკურენტუნარიანობის მოპოვების შესაძლებლობები.

სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. დადგენილია ინოვაციური ბიზნეს პროექტების მენეჯმენტში არსებული პრობლემები და გამოვლენილია პრობლემების აღმოფხვრისათვის პროექტის პროფესიონალი მენეჯერის როლის და უნარ-ჩვევების რეალიზების საჭიროება გლობალიზაციის გამოწვევების შესაბამისად;

2. საქართველოში სტუმართმასპინძლობის და მომსახურების სექტორში ინოვაციური ბიზნეს პროექტების:

- ❖ წარმატებით განხორციელებისათვის მთავარ მიმართულებად განსაზღვრულია ციფრული ტრანსფორმაციის, მდგრადობის და მომხმარებლის გამოცდილების გაძლიერება;
- ❖ მართვისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის დადგენილია ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინის, IoT, დიდი მონაცემების ანალიტიკის, პროგნოზირებადი მოდელირების და სხვა სამეცნიერო ინოვაციების დანერგვის საჭიროება;

❖ მართვის ეფექტიანობის დადგენისათვის გაანალიზებულია Agile მართვის მეთოდების თავისებურებები;

3. JD-R მოდელით შეფასებულია ხარისხობრივად სასტუმროს ინოვაციური მენეჯმენტის შედეგიანობა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის მეთოდების პრაქტიკულ რეალიზებასა და სტიმულირებას საქართველოში სტუმართმასპინძლობის და მომსახურების სფეროში. ყოველივე ეს გაზრდის ბიზნეს პროექტების განმახორციელებელი კომპანიების საქმიანობის ხარისხს, დაეხმარება მათ კონკურენტული უპირატესობის მიღწევასა და გრძელვადიანი წარმატების მოპოვებაში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ადგილობრივი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ასევე ეკონომიკის, ბიზნესისა თუ მენეჯმენტის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაცია აპრობირებულ იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დაპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2025 წლის 04 თებერვალს (ოქმი №21-21/02).

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 139 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავისა და ათი ქვეთავისგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნები და რეკომენდაციები, 125 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად საკითხის განილვამ და ანალიზმა განაპირობა ნაშრომის ჩამოვყალიბება შემდეგი სტრუქტურით:

შესავალი

თავი I ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თეორიული საფუძვლები

I.I. ინოვაციების არსი, სახეები და ფორმები

I.II. ინოვაციური პროცესი, როგორც ინოვაციური იდეის განვითარების ეტაპები

I.III. ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის კონცეფცია

თავი II ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის მეთოდები და მართვის ძირითადი თავისებურებები

II.I. ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვის მეთოდები

II.II. კრიზისის მართვა: „Covid -19 მოთხოვნები“ და პროექტის Agile მეთოდის ეფექტიანობა

II.III. ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის პრინციპები:
მიღწევები და გამოწვევები

თავი III ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის სტრატეგია საქართველოში და მენეჯმენტის პრობლემები

III.I. ინოვაციური პროექტებისა და კომპანიის სტრატეგიის ინტეგრაცია

III. II.სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა და საქართველოს რეიტინგი GII79

III.III. პროექტების მენეჯმენტში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის
შესაძლებლობები

III.IV. პროექტის პროფესიონალი მენეჯერის როლი, როგორც უმთავრესი
ფუნქცია ბიზნეს პროექტების მენეჯმენტში და გლობალიზაციის გამოწვევები

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის I თავში „ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თეორიული საფუძვლები“ - განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებები, განსაზღვრებები ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თეორიულ საფუძვლებზე, სადაც წარმოდგენილია ინოვაციების არსი, სახეები და ფორმები, ინოვაციური პროცესი დახასიათებულია ინოვაციური იდეის განვითარების ეტაპებად, გაანალიზებულია ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის კონცეფციები.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველი მეცნიერები ხაზს უსვამენ ინოვაციური ბიზნეს პროექტების კონტექსტუალიზაციის მნიშვნელობას ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიკურ ჩარჩოებში. უცხოელი მეცნიერები მხარს უჭერენ პროექტების მართვის გლობალური მეთოდოლოგიების მიღებას, ხაზს უსვამენ ჰიბრიდული მიდგომის საჭიროებას, რომელიც მოიცავს როგორც ადგილობრივ შესაბამისობას, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ქართველი მეცნიერები ინოვაციური ბიზნეს პროექტების მენეჯმენტში უპირატესობას ანიჭებენ სოციალურ გავლენას და საზოგადოების კეთილდღეობას, უცხოელი მეცნიერები კი აქცენტს აკეთებენ ბაზარზე პოზიციონირებასა და მომხმარებელზე ორიენტირებულ ინოვაციაზე, რაც მიუთითებს ქართული ბიზნესისთვის მდგრადი ზრდის ორივე პერსპექტივის ინტეგრირების აუცილებლობაზე.

კომპანიის საქმიანობაში ინოვაციები ითვლება ფუნდამენტურ, გადამწყვეტ ფაქტორად, რადგან ინოვაცია ნიშნავს პროცესს იდეის წარმოშობიდან მის რეალიზაციამდე, ამიტომ ინოვაცია როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პროექტი. მეცნიერული კვლევის შედეგებით თეორიულად დადგინდა, რომ „ინოვაციური მენეჯმენტი“ და „პროექტის მენეჯმენტი“ დროთა განმავლობაში განვითარდა, როგორც ორი დამოუკიდებელი მეცნიერული და პრაქტიკული მიმართულება.

ბიზნეს პროექტების მსგავსად ინოვაციები ფორმულირდება დოკუმენტალურად გაფორმებულ ბიზნეს გეგმასთან, ბიზნეს იდეასთან, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის გონებაშია ჩაფიქრებული და იგეგმება. პროექტსა და ინოვაციის არსს შორის თანხვედრა ვლინდება ასევე პროექტის თანამედროვე განსაზღვრებაში, რომ „პროექტი ისაა, რაც ცვლის ჩვენს სამყაროს“. ასევე ინოვაციური პროექტი, ბიზნეს პროექტის მსგავსად, განიხილება ღონისძიებათა ერთობლიობის სახით მიმდინარე

პროცესად, რომელიც თანამედროვე მართვის მეთოდების რეალიზებით უზრუნველყოფს დასახული მიზნის, ანუ სიახლის შექმნას, კომერციალიზაციასა და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ამრიგად, ინოვაციები ვითარდება პროექტის მართვის კონცეფციის გამოყენებით, რადგან იდეებიდან ღირებულების შექმნაზე გადასვლის სირთულეების დაძლევა შეიძლება მიღწეული იყოს პროექტის მართვის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით.

ჩვენი აზრით, ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვა ითვალისწინებს ცოდნის, უნარების, დროითი, ფინანსური და შრომითი რესურსების, ხარისხის, კომუნიკაციების, რისკების, კონტრაქტებისა და შეკვეთების მართვას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც დაეფუძნება ინოვაციური პროექტის მართვის პროცესში, როგორც კომპანიისათვის, ასევე ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის, განვითარების ზრდის ტემპების მიღწევას. კვლევებით დადგენილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში 70-80 % მშპ ზრდა განპირობებულია ახალი ცოდნით, რაც მეცნიერებას აძლევს შესაძლებლობას პრიორიტეტად დაასახელოს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამჟამად საქართველოში ახალი ცოდნის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების წილი ეკონომიკურ განვითარებაში რაოდენობრივად სრულად არ არის განსაზღვრული, რაც სტატისტიკური მონაცემების სიმწირით აიხსნება. თუმცა, არსებული ტენდენციები, საერთაშორისო კვლევების შედეგები და ანალოგიური ეკონომიკების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ ფაქტორების გავლენა მზარდია. შესაბამისად, მათ როლს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში შეიძლება ვუწოდოთ განვითარებადი, როგორც დინამიკაში მყოფი და ჯერ კიდევ ფორმირებადი კომპონენტი. საქართველოში კვლევების მიხედვით შესაძლებელია, რომ 20-30 %-ი მშპ-ის ზრდა იყოს პირდაპირ დაკავშირებული ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და განათლებაზე დაფუძნებულ რეფორმებთან, რომელიც ეფუძნება ანალოგიურ ქვეყნებში შემუშავებულ მოდელებს და საქართველოს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთებულ ანალიზს.

ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვის საკითხებზე მოსაზრებებს წლების მანძილზე აყალიბებენ ქართველი მეცნიერებიდან: ე. თურქია (2010) წიგნში „ბიზნეს-პროექტების მართვის ტექნოლოგიური პროცესის ავტომატიზაცია“ ბიზნეს-პროექტს განიხილავს, როგორც გლობალური კონკურენციისა და დინამიკური ბიზნეს გარემო

პირობების ცვლილებებზე სწრაფი და სწორი რეაგირების მოდელს და აყალიბებს აზრს იმის შესახებ, რომ „ბიზნეს-პროექტი ფაქტობრივად, ორგანიზებას უკეთებს მოქმედებას, რომელიც შეუძლებელია შესრულდეს ორგანიზაციის საოპერაციო მუშაობის ფარგლებში. როგორც წესი, პროექტების შესრულების მოთხოვნა წამოჭრილია ისეთი სტრატეგიული მოსაზრებით, როგორიცაა: ორგანიზაციული საჭიროება; ტექნოლოგიური წინსვლა; საბაზრო, მომხმარებლების, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები“. მაშასადამე, მეცნიერი ე.თურქია სამეცნიერ კვლევის სფეროს შესაბამისობაში ყურადღებას ამახვილებს შინაარსის მიხედვით IT პროექტებზე.

გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი (2019) სახელმძღვანელოში „პროექტის მენეჯმენტი“ განსაზღვრავენ, რომ პროექტი არის ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობა მკაფიოდ განსაზღვრული დასაწყისითა და დასასრულით, რომელიც წარმართება ორგანიზებულად გარკვეული მიზნის მისაღწევად. პროექტის წარმატებული მართვა საჭიროებს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას მოთხოვნილი სტანდარტების, მკაცრად განსაზღვრული დროისა და წინასწარ დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

მეცნიერები ასევე ყურადღებას ამახვილებენ პროექტის მიზანზე, რომელიც უნდა განხორციელდეს კომპანიის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. მიაჩნიათ, რომ გასათვალისწინებელია სხვადასხვა პროექტებს შორის კავშირების აუცილებლობა, რაც კომპანიის სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

გ. შიხაშვილი, მ. გედევანიშვილი, კ. რუსიძე (2012) სახელმძღვანელოში „პროექტის მენეჯმენტი“ განსაზღვრავენ, რომ „პროექტი ეს არის ეფექტური საშუალება, რომლის დახმარებით ხდება ნებისმიერი ჩანაფიქრისა და ინოვაციის პრაქტიკული რეალიზება. დიდი ცვლილებები=მეტი ინოვაცია=მეტი პროექტი“.

ლინდა ა. ჰილი სამეცნიერო ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებს ლიდერულ უნარ-ჩვევებზე, რომლის რეალიზებითაც ახერხებენ გუნდებში ინოვაციების განვითარებას. მისი კვლევები ფოკუსირებულია ისეთი წამახალისებელი გარემოს შექმნაზე, რომელიც გუნდში მრავალფეროვანი იდეების შექმნის და პრობლემების თანამშრომლობით გადაჭრის ერთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება.

მეცნიერი ჰენრი ჩესბრო შეისწავლის ღია ინოვაციების როლს ციფრულ ტრანსფორმაციაში. მეცნიერს მიაჩნია, რომ დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში

ინოვაციების ეფექტური მართვისათვის კომპანიებმა აუცილებელია მოიცვას გარე თანამშრომლობა და ქსელები (Chesbrough, 2020). მაგ.: Procter & Gamble's Connect + Develop Program P&G-მ წარმატებით განახორციელა ღია ინოვაციის სტრატეგია Connect + Develop პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული ინიციატივა კომპანიებს ხელს უწყობს გარე პარტნიორებთან თანამშრომლობას, მ.შ. სტარტაპებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან, გამომგონებლებთან რათა ერთობლივად შექმნან ახალი პროდუქტები, სერვისები, ტექნოლოგიები, განავითარონ პროცესები და ა.შ.

ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვა ექვემდებარება მიმდინარე პროცესებს, რომლებიც ეკონომიკურ მეცნიერებაში წოდებულია პროექტის სასიცოცხლო ციკლის-მომზადების, შემუშავების და რეალიზაციის ფაზებად. ინოვაციური პროექტის სასიცოცხლო ციკლის თითოეული ფაზა არის იდეის შექმნიდან-დასაწყისიდან დასასრულამდე-უნიკალური შედეგის შეფასების ჩათვლით დროის პერიოდის გამომხატველი.

ამ კონტექსტში, ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვა განიხილება როგორც კომპლექსური სისტემა, რომელიც ეფუძნება პროექტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპობრივ განხორციელებას და მოიცავს სხვადასხვა ფუნქციურ მიმართულებას, მათ შორის პროცესების, დროის, ღირებულების, რისკების, პერსონალის, კომუნიკაციების, კონტრაქტების და ხარისხის მართვას.

ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვა ითვალისწინებს:

- საბაზისო და ცვლილებების გეგმის შესაბამისად მიმდინარე პროცესების მართვას მუდმივი კონტროლით;
- ვადების მართვას - განსახორციელებელ მიზნებსა და ამოცანებს შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას, მიმდინარე პროცესების დროის ხანგრძლივობის შეფასებას, სამუშაო გრაფიკის შემუშავებას და მართვას;
- ღირებულების მართვა-ითვალისწინებს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად პროცესების განხორციელებას და კონტროლს;
- რისკების მართვა-საჭიროებს რისკების იდენტიფიცირებას, რისკის გამომწვევი მიზეზების დადგენას, ალბათობის განსაზღვრას, მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებას და ალტერნატიული ანტი სარისკო ღონისძიებების შემუშავებას;
- პერსონალის მართვა- გულისხმობს გუნდის მოტივირებას, განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებას;

➤ კომუნიკაციების მართვა- მიზანშეწონილია ექვემდებარებოდეს ინფორმაციის, როგორც მნიშვნელოვანი რესურსის დროულად მიღებას, დამუშავებას, დაჯგუფებას, გავრცელებას და ა.შ.;

➤ კონტრაქტების მართვა-ითვალისწინებს პროცესების ერთობლიობას, რომელიც უკავშირდება როგორც რესურსების მოწოდების, ასევე მომხმარებელთა მოთხოვნების დაგეგმვას, ხელშეკრულებების მომზადებას და პროცესების მართვას;

➤ ხარისხის მართვა-გულისხმობს პროცესების ერთობლიობას: ხარისხის დაგეგმვას, დამტკიცებას და მართვას.

ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელიც ეფუძნება პროექტის მართვის პრინციპებსა და ინოვაციური იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას. თეორიული ანალიზით ირკვევა, რომ წარმატებული მენეჯმენტი საჭიროებს როგორც ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტზე მორგებულ მიდგომებს, ისე გლობალურ სტანდარტებთან თავსებადობას. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისთვის აუცილებელია ჰიბრიდული მოდელის განვითარება, რომელიც შეათავსებს ცოდნაზე დაფუძნებულ ინოვაციებს, ეფექტიან მენეჯმენტს და საერთაშორისო პრაქტიკას.

ნაშრომის II თავში „ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის მეთოდები და მართვის ძირითადი თავისებურებები“ - შესწავლილია კრიზისის მართვა: „Covid-19 მოთხოვნები“; განხილულია ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვის მეთოდები: „მოქნილი“ ანუ „სწრაფი“ (Agile), „ტრადიციული“ ანუ „კასკადური“ (waterfall), „ჩანჩქერის“, „კრიტიკული გზის“, „პროგრამების გადასინჯვის და შეფასების“-„PERT,, „რაციონალური ერთიანი პროცესის“- (RUP), „ექსტრემალური პროგრამირების“- (XP), „მქლე“ (Lean), „ექვსი სიგმას“, „კრისტალის“, „ერთობლივი განაცხადის შემუშავების“, „სკრიმის“ (Scrum) და „კანბანის“ (Kanban) მეთოდები; გაანალიზებულია პროექტის Agile მეთოდის ეფექტიანობა ინოვაციური პროცესების მართვაში. Agile ხელს უწყობს სწრაფ რეაგირებას, პროექტის მოქნილად წარმართვასა და მომხმარებლის საჭიროებებზე მუდმივ ადაპტაციას. თუმცა, მისი წარმატება დამოკიდებულია მკაფიო მიზნებზე, სტრატეგიულ ხედვასა და რესურსების სწორ განაწილებაზე. წინააღმდეგ

შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ პროექტი დაკარგავს მიმართულებას და ეფექტიანობას.

განხილულია ინოვაციური ბიზნეს პროექტის მართვის ძირითადი მახასიათებლები, განსხვავებები და გლობალური გამოწვევები პერიოდების მიხედვით, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები:

მეთოდოლოგიების ცვლილება: პანდემიის დროს კომპანიებმა და ორგანიზაციებმა დაიწყეს სწრაფი ცვლილებების მიღება და სწრაფი რეაგირების უნარის განვითარება, რაც იყო საჭირო არა მხოლოდ პანდემიის გავრცელების საპასუხოდ, არამედ ბიზნეს პროცესების უკეთესად მართვისთვის და კრიზისულ სიტუაციებზე ადაპტაციისთვის;

ტექნოლოგიების ინტეგრაცია: პანდემიამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ინვესტიციები ციფრულ ინსტრუმენტებში, რომლებიც დღესაც აუცილებელია. დღევანდელი ლანდშაფტი აერთიანებს ხელოვნურ ინტელექტს, დიდ მონაცემებს და თანამშრომლობით პლატფორმებს, აძლიერებს ეფექტურობას და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას;

სამუშაო გარემო: ტრადიციული საოფისე გარემოდან ჰიბრიდულ და დისტანციურ სამუშაო მოდელებზე გადასვლამ შეცვალა გუნდის დინამიკა და მართვის პრაქტიკა, ფოკუსირებულია თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე;

ფოკუსირება კეთილდღეობაზე: ფსიქიკური ჯანმრთელობა და თანამშრომელთა კეთილდღეობა გახდა ცენტრალური საკითხები პროექტის მენეჯმენტში, რაც გამოწვეულია პანდემიის დროს არსებული გამოწვევებით;

გლობალური გამოწვევები: ორგანიზაციები განიცდიან ზეწოლას, მიიღონ მდგრადი პრაქტიკა კლიმატის ცვლილების შემფოთების ფონზე, რაც მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს პროექტის მენეჯმენტში;

ეკონომიკური აღდგენა: COVID-ის შემდგომ, ბიზნესი აგრძელებს ფუნქციონირებას პანდემიით გამწვავებულ ეკონომიკურ უთანასწორობებზე;


ციფრული განხეთქილება: ტექნოლოგიასა და ციფრულ უნარებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გადამწყვეტია ინკლუზიური ინოვაციის ხელშეწყობისთვის;

გლობალური კონკურენცია: ორგანიზაციები უნდა დარჩეს კონკურენტუნარიანი სწრაფად განვითარებად გლობალურ ლანდშაფტში, რაც ხაზს უსვამს უწყვეტი სწავლისა და ადაპტაციის აუცილებლობას.

ამრიგად, ინოვაციური პროექტების მართვის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალურ გამოწვევებთან ადაპტაცია, არამედ იმ მეთოდოლოგიური მიდგომების ეფექტიანად შერჩევა და გამოყენება, რომლებიც რეალურ პრაქტიკაში აჩვენებენ მაღალ შედეგიანობას.

დიაგრამა 1-ზე წარმოდგენილია რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული და ადაპტირებული პროექტის მართვის მეთოდები. კვლევების მიხედვით, Agile ყველაზე ეფექტურ და გავრცელებულ მეთოდად ითვლება, რომელსაც იყენებს გამოკითხულთა 30 %. ასევე მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა Scrum (25 %) და Kanban (20 %) მეთოდები. პროექტის მართვის სხვა მეთოდებიდან კასკადური და Scrumban მეთოდები თითოეული 10 %-ით გამოიყენება. ქართულ სტარტაპ კომპანიებში ნაკლებად პოპულარულია და პრაქტიკაში ნაკლებად არის გამოყენებული ადაპტირებული პროექტის ჩარჩო (APF) – 3 % და ექსტრემალური პროგრამირება (XP) – 2 %.

დიაგრამა 1. ინოვაციური პროექტის მართვის მეთოდებიდან ყველაზე ეფექტური და გამოყენებადი მეთოდები ქართულ სტარტაპ კომპანიებში



წყარო: აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პროექტის მართვის მეთოდების მრავალფეროვნებისა, ამ მიმართულებით საქართველოში არ არსებობს სიღრმისეული კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყენებენ პროექტის მენეჯერები აღნიშნულ მიდგომებს პრაქტიკაში. ჩვენი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 85 %-ს არ აქვს დეტალური ცოდნა პროექტის მართვის მეთოდებზე. მიუხედავად ამისა, მენეჯერების 12 % ავლენს უნარს, ეფექტიანად გამოიყენოს მათთვის ნაკლებად ნაცნობი პროექტის მართვის ძირითადი ელემენტები ნიჭისა და გამოცდილების საფუძველზე.

გამოკითხულ მენეჯერთა 80 % კომბინირებულად იყენებს „მოქნილ“ და „ტრადიციულ“ მეთოდებს, 65 % იყენებს „ჩანჩქერის“ და „კრიტიკული გზის“ მეთოდებს პროექტის მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანების განსახორციელებლად, რადგან დღეს გარე ფაქტორების სწრაფი ცვლილებების და შიდა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები საჭიროებს დროულ რეაგირებას და სიტუაციის შესაბამისად ქმედებების განხორციელებას.


პროექტის მართვის პროცესში 95 % უპირატესობას ანიჭებს საპროექტო ჯგუფების შექმნას, მათზე კონკრეტული განსახორციელებელი ამოცანების გადანაწილებას თანმიმდევრული განხორციელებისათვის. რადგან სწორედ არაპროფესიონალებისაგან ჩამოყალიბებული გუნდი და მათ შორის ფუნქციების არასწორი გადანაწილება წარმოქმნის პრობლემებს, რომელიც კავშირშია არა მხოლოდ დროისა და ფინანსური რესურსების არაეფექტურ ხარჯვასთან, არამედ ზემოქმედებას ახდენს პროექტის საბოლოო შედეგის ხარისხზე.

პროექტის მიზნის მიღწევისათვის პროექტის მენეჯერთა 60 % საქმის განსაზღვრას განახორციელებს ნაბიჯ-ნაბიჯ. მენეჯერთა 70 % ამყარებს უკუკავშირს პროექტით დაინტერესებულ პირებთან. მენეჯერთა 65 % განახორციელებს მიმდინარე შედეგების ეტაპობრივ გაანალიზებას შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას მასზე კონტროლის დაწესებით. 60 % ეფექტურად იყენებს დროსა და ფინანსებს; უპირატესობას ანიჭებს 95 % მომუშავეთა შორის კომუნიკაციას, 75 % ინდივიდების ნიჭის, შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყენებას, რომლებიც მონაწილეობენ პროექტის განხორციელებაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ნიჭიერი განმახორციელებელი სუბიექტების მიერ შესრულებული

შრომა არ ექვემდებარება შესაბამის ანაზღაურებას, რაც ზემოქმედებას ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და ა.შ.

გამოკითხულ მენეჯერთა 85 % მიზანშეწონილად მიიჩნევს პრობლემების განხილვის პროცესში ჩართოს და გაითვალისწინოს პროექტში მონაწილე პირები, თუმცა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლებას იძლევა მენეჯერთა-2 %. მენეჯერთა 60 % მიზანშეწონილად მიიჩნევს საჭიროების შემთხვევაში ჩამოაყალიბოს მცირე სამუშაო ჯგუფები, რომელიც სამუშაოს სწრაფად, ან ხარისხიანად განახორციელებს. ყოველივე ეს ექვემდებარება დამკვეთის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. 85 % პროექტის მართვის პროცესში იყენებს პროექტის მიზნების და ამოცანების თანმიმდევრულ ვიზუალურ წარმოდგენას სქემატურად. 70 % გააჩნია მოულოდნელობებით გამოწვეულ ცვლილებებზე ადაპტირების უნარი; 23 % წინასწარ განსაზღვრულ რისკებზე განახორციელებს რეაგირებას (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. პროექტის მართვის პროცესში პროექტის მენეჯერების მიერ გამოყენებული ამოცანები და მიზნები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ პროექტის მართვაში ძირითადი მახასიათებლების სტრუქტურირებული მიდგომის, ეფექტური კომუნიკაციისა და რესურსების ოპტიმიზაციის დაბალანსებულმა გამოყენებამ შესაძლოა უზრუნველყოს პროექტის მაღალი ეფექტიანობა და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების ზრდა, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომლებიც

უკავშირდება ნიჭის არასათანადო ანაზღაურებასა და რესურსების არაეფექტიან გამოყენებას.

კვლევა მიმართული იყო ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სასტუმრო სექტორზე, რომელიც მუდმივად უნდა ადაპტირდეს გარე გარემოს ცვლილებებთან. ინოვაციები, სტრუქტურირებული მართვის პრაქტიკა და Agile მეთოდის დანერგვა ამ ინდუსტრიაში საშუალებას მისცემს სასტუმროებს ეფექტურად მართონ საკუთარი საქმიანობა და ისარგებლონ ბაზრის ახალი შესაძლებლობებით. ამ გზით, სასტუმროები შეძლებენ არა მხოლოდ კრიზისის პერიოდში წარმატებით გაუმკლავდნენ გამოწვევებს, არამედ შექმნან უფრო მდგრადი და მოქნილი ბიზნეს მოდელები, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მათ. აქედან გამომდინარე, ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები:


➤ **სასტუმროების მართვის სტრატეგიების გადახედვა და მათი მოქნილობის ზრდა.** სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული პოსტ-პანდემიური პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სასტუმროებმა განავითარონ მოქნილი და ადაპტირებადი მართვის სტრატეგიები. ეს ხელს შეუწყობს სწრაფი რეაგირებისა და ბაზრის ცვლებად პირობებთან ადაპტირების შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის დროს. სამუშაო გარემოს უკეთესი მორგება და თანამშრომლების მოტივაცია ინოვაციებისკენ სწორედ ასეთი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს;

➤ **Agile მეთოდის დანერგვა და განვითარება.** Agile მეთოდი, რომელიც კარგად მუშაობს სტრესის მართვისა და სწრაფი ცვლილებების პირობებში, უნდა იყოს ინტეგრირებული სასტუმრო ინდუსტრიის მართვის სისტემებში. მისი გამოყენება არა მხოლოდ სტრესის შემცირებას უწყობს ხელს, არამედ ასევე საშუალებას აძლევს სასტუმროებს სწრაფად იპოვონ გადაწყვეტილებები, რათა დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნები და მუშაობის პირობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიური კრიზისის ან სხვა გლობალური გამოწვევების დროს, როცა უნდა მოხდეს სწრაფი რეაგირება.

ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პანდემიის შემდეგ უპირველეს ყოვლისა, რესპონდენტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს როგორც პრობლემის გადაჭრის უნარი, ასევე სამეწარმეო ქცევა, ინიციატივა, გამძლეობა და კრეატიულობა. სწორედ

ეს უნარები შეიძენს მნიშვნელობას კვლევის მიხედვით მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. ძირითადი ციფრული უნარები, როგორცაა ციფრული თანამშრომლობა და Agile მეთოდები, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება (სქემა 1).

სქემა 1. კრიზისის მართვა: „Covid-19 მოთხოვნები“ Agile პროექტის მენეჯმენტი.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.


Agile პროექტის მენეჯმენტი, როგორც მოდერატორი, აფერხებს COVID-19 მოთხოვნების უარყოფითი ეფექტებს. Agile პრაქტიკის მოქნილობა, გუნდური მუშაობა და განმეორებითი ბუნება ეხმარება თანამშრომლებს მართონ დატვირთვა, უზრუნველყონ სოციალური მხარდაჭერა თანამშრომლობით და შექმნან უფრო ადაპტირებული სამუშაო გარემო, რაც ამცირებს თანამშრომელთა გადაღლილობას.

➤ **კონკურენციის შენარჩუნება ინოვაციებით.** სასტუმროების მართვაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციების ხელშეწყობასა და მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვას. ეს მოიცავს როგორც პერსონალისთვის, ისე სტუმრებისთვის განკუთვნილი ციფრული ინსტრუმენტების გაძლიერებას. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, როგორცაა აუტოსორსინგი,

ავტომატიზაცია და ციფრული კომუნიკაცია, დაეხმარება სასტუმროებს არა მხოლოდ ეფექტურად მართონ რესურსები, არამედ შემოსავლებიც გაზარდონ;

➤ **სტრესი და სამუშაო პირობების გაუმჯობესება.** სასტუმრო ინდუსტრიაში, სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, გაანალიზებული იქნა სამუშაო მოთხოვნები JD-R მოდელის გამოყენებით. დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სასტუმროების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სამუშაო მოთხოვნების და რესურსების ოპტიმიზაცია. სტრესის და გადაღლილობის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სამუშაო გარემო ისე იქნება მოწყობილი, რომ ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ჯანმრთელობას, მოტივაციას, კრეატიულობასა და ინოვაციურობას. საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და რისკების შეფასება, რათა დროულად გამოიკვეთოს აუცილებელი ცვლილებები;

სქემა 2. JD-R მოდელი სასტუმროს ინოვაციური მენეჯმენტისა და თანამშრომლების ჩართულობისთვის



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

➤ **პერსონალის სწავლების და განვითარების პროგრამების განვითარება.** პანდემიის შედეგად წარმოებული ცვლილებებისა და ახალი მოთხოვნებისთვის სამუშაო გარემოში საჭიროების განვითარება მნიშვნელოვანია. თანამშრომელთა ცოდნისა და უნარების მუდმივი განვითარება, როგორც ციფრულ, ისე სუბიექტურ სფეროებში (მაგალითად, კრიზისის დროს მენეჯმენტი), გააუმჯობესებს მათ მოქნილობას და ხელს შეუწყობს ბიზნესის ეფექტურობას;

➤ **კომუნიკაციისა და უკუკავშირის გააქტიურება.** ეფექტური კომუნიკაცია და უკუკავშირი პანდემიურ პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სასტუმროებმა უნდა განავითარონ უნიკალური სისტემები თანამშრომელთა და მომხმარებელთა შორის კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, რათა თავიდან აიცილონ პოტენციური პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის ნაკლებობის გამო. ამასთანავე, კომუნიკაციის გზები უნდა გახდეს უფრო მოქნილი და სწრაფი, რათა ადეკვატურად რეაგირება მოახდინონ სწრაფად ცვალებად გარემოში;

➤ **კადრების შერჩევისა და მოზიდვის ახალ სტრატეგიებზე გადართვა.** კადრების დეფიციტი და მუშაობის მოთხოვნების ახალი სტანდარტები მოითხოვს თანამშრომელთა მოზიდვის ახალი მიდგომების დანერგვას. მნიშვნელოვანია, რომ სასტუმროებმა გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რათა დააინტერესონ და სწორად შეარჩიონ კვალიფიციური პირები, რომლებიც ადაპტირებულნი იქნებიან ახალ სამუშაო გარემოში;

➤ **ფინანსური რესურსების ეფექტური მართვა.** პანდემიის დროს ბევრი სასტუმრო მაკროფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. აუცილებელია, რომ სასტუმროებმა მუდმივად მონიტორინგი აწარმოონ ფინანსურ რესურსებზე და შექმნან ბიუჯეტირების მოქნილი სისტემა, რომელიც იძლევა სწრაფ და ზუსტ რეაგირებას ფინანსურ კრიზისებზე;

ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის პრინციპების განხილვისას გამოიკვეთა მიღწევები, გამოწვევები და მათი მოგვარების გზები. საქართველოს რეალობაში დღესდღეობით ტურიზმი და მომსახურების სექტორი ხშირად მორგებულია შიდა და გარე მოთხოვნებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება, რაც ქმნის ინოვაციურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ამ სფეროში ბიზნესის მართვის მეთოდები მოიცავს მომხმარებელზე ორიენტირებულ ხედვებს, ტექნოლოგიური განვითარების გამოყენებას და მდგრადობის პრინციპებს. დღევანდელი მიღწევებია:


მობილური აპლიკაციები და ციფრული გამოცდილება, ინოვაციური პლატფორმები, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეიძინოს ტურისტული პროდუქტები, შეამოწმოს რჩევები, მოიძიოს აქტივობები და უბრალოდ გამოიყენოს ციფრული გზები არსებული მოგზაურობის კონტროლისთვის. ციფრული კონსიერჟების გამოყენება გახდა ერთ-ერთი მთავარი ინოვაცია ტურიზმში.

მომსახურების სექტორში მთავარია მომხმარებლის უკუკავშირი, რასაც კომპანიები იყენებენ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ამისათვის გამოიყენება CRM (Customer Relationship Management) სისტემები, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს გააკონტროლონ მომხმარებელთა აქტივობა და მათთვის შესაბამისი მომსახურება შემოიტანონ. მომსახურების დიგიტალიზაცია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად მიიღოს მომსახურება, იქნება ეს ონლაინ შეკვეთა თუ დახმარება ციფრული პლატფორმების მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ ტრადიციული მომსახურება უფრო ავტომატიზირებულია, რაც ზრდის ეფექტურობას. მომსახურების სფეროში გაძლიერებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მომხმარებელთან ურთიერთობაში. მაგალითად, ჩეთბოტები, რომლებიც პირდაპირ პასუხობენ მომხმარებლის კითხვებს 24/7 და დისტანციურად ეხმარებიან მათ. თუმცა ამ სიკეთეებთან ერთად *ვაწყდებით წინააღმდეგობებსაც* როგორცაა ტექნოლოგიის ინტეგრაციის სირთულეები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მომსახურების სფეროში ხშირ შემთხვევაში არის რთული, რადგან საჭიროებს ტრენინგს, ინფრასტრუქტურის აღჭურვას და საკმაოდ დიდი ინვესტიციებს. არსებულ სტარტაპებში ადგილობრივი სპეციალიზებული უნარების დეფიციტია, რაც ზრდის ძვირადღირებული უნარების მოძიების აუცილებლობას. განსხვავებული კულტურები და მომხმარებლის მოთხოვნები შეიძლება ქმნიდეს სირთულეებს, როდესაც ცდილობენ ყველა მომხმარებლის მოლოდინები დააკმაყოფილონ. მაღალ კონკურენციაში წინა პლანზე გამოსვლა რთულია, როცა სწრაფად იცვლება მოთხოვნები და გატარებული ინოვაციები შეიძლება სწრაფად მოძველდეს. *გამოსავალი კი* ბლოკჩეინ, IoT, ან ალგორითმების გამოყენებით ინოვაციების ადაპტაციაა, რათა ამ სფეროში არსებული გამოწვევები დაძლეული იყოს. ასევე პროტოტიპების შესაქმნელად ექსპერიმენტული გამართვის საშუალება, რათა ცდომილებებით და ანალიზებით მოხდეს ტექნიკური გამოსავალი. კულტურული და ორგანიზაციული ბარიერების დროს ლიდერების და აღმასრულებელი გუნდების

მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა თანამშრომლებმა დაიწყონ სიახლეებზე დაფუძნებული ცვლილებების მიღება. უნარების დეფიციტის შესავსებად უნდა შეიქმნას თანამშრომლობის მოდელები ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა აითვისონ საჭირო უნარები და მიიღონ შესაბამისი განათლება.

ინოვაციური სტარტაპები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პლატფორმებსა და სხვა სისტემებს თავიანთი ოპერაციების გამარტივებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გამოყენების კონკრეტული სისტემები შეიძლება განსხვავდებოდეს. დიაგრამა 3-ზე წარმოდგენილია რესპოდენტების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგიები.

დიაგრამა 3. გამოყენებული პლატფორმები ან სისტემები ოპერირებისთვის



წყარო: აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ონლაინ დაჯავშნის სისტემები (23 %): ბევრი სტარტაპი, განსაკუთრებით მასპინძლობისა და ღონისძიებების სექტორში, იყენებს ონლაინ დაჯავშნის სისტემებს ჯავშნების სამართავად. პლატფორმები, როგორიცაა Area.ly, Booksy ან მორგებული გადაწყვეტილებები, პოპულარულია ინტეგრაციის სიმარტივისა და მომხმარებელთა მართვის მახასიათებლების გამო.

მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) პროგრამული უზრუნველყოფა (15 %): CRM სისტემები, როგორიცაა ZOHO CRM ,Microsoft Dynamics,

Bitrix24, AmoCRM, Hubspot HubSpot, Salesforce, RIPPLE ან ადგილობრივი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ გამოიყენება მომხმარებელთა ურთიერთქმედების სამართავად, მენეჯერების თვალყურის დევნებისთვის და მარკეტინგული ძალისხმევის გასაძლიერებლად. ეს ინსტრუმენტები ეხმარება სტარტაპებს შეინარჩუნონ კლიენტებთან ურთიერთობა და განავითარონ ზრდა.

გაყიდვების წერტილების (POS) სისტემები (12 %): სტარტაპები საცალო და კვების სერვისებში ხშირად იყენებენ POS სისტემებს ტრანზაქციების დასამუშავებლად, ინვენტარის მართვისა და გაყიდვების მონაცემების გასაანალიზებლად. სისტემები, როგორიცაა Square, GNS, BITNET, და სხვა ადგილობრივი პროვაიდერები, მომხმარებლებს თავაზობენ ყოვლისმომცველ ფუნქციებს, რომლებიც შესაფერისია სხვადასხვა ზომის ბიზნესისათვის.

მობილური აპლიკაციები სტუმრების სერვისებისთვის (10 %): მობილური აპლიკაციები სულ უფრო ხშირად გამოიყენება მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა სტუმართმოყვარეობა და სერვისი. ეს აპები უზრუნველყოფენ ისეთ სერვისებს, როგორიცაა დაჯავშნა, შეკვეთა და გამოხმაურების შეგროვება, რაც აუმჯობესებს მომხმარებლის კომფორტს. SAIT, WENROLL, Biliki.

სხვა ტექნოლოგიები (30 %): ეს კატეგორია მოიცავს სხვადასხვა ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: საწარმოთა რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები: შიდა პროცესების მართვისთვის, როგორიცაა აღრიცხვა, ინვენტარი და მიწოდების ჯაჭვი.

დრუბლოვანი შენახვისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტები: სერვისები, როგორიცაა Google Workspace ან Microsoft 365 დოკუმენტების მართვისა და გუნდური თანამშრომლობისთვის.

ანალიტიკის ინსტრუმენტები: პლატფორმები, როგორიცაა Google Analytics ან ადგილობრივი ანალიტიკის პროვაიდერები მომხმარებლის ქცევისა და ბიზნესის ეფექტურობის თვალყურის დევნებისთვის.

ზუსტი პროცენტები შეიძლება მერყეობდეს თითოეული სტარტაპის სპეციფიკურ საჭიროებებზე და ინდუსტრიის ფოკუსზე დაყრდნობით. თუმცა, ეს კატეგორიები სარწმუნო შედეგს იძლევა იმ ძირითადი ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც გამოიყენება საქართველოს ინოვაციურ სტარტაპ ეკოსისტემაში.

ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვისას ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იქნება სწორი მიდგომების პოვნა ტექნოლოგიების, ბაზრის მზადყოფნისა და კონტექსტის მიხედვით. თუმცა, კომპანიის გამართულად დაგეგმვა, გუნდური მუშაობა და სწორი რესურსების მოძიება ამ გამოწვევებს შესაძლებელს გახდის.

ნაშრომის III თავში-„ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის სტრატეგია საქართველოში და მენეჯმენტის პრობლემები“-შესწავლილია სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა და საქართველოს რეიტინგი გლობალურ ინოვაციურ ინდექსში. განხილულია ინოვაციური პროექტებისა და კომპანიის სტრატეგიის ინტეგრაცია. ჩამოყალიბებულია პროექტების მენეჯმენტში არსებული პრობლემები, დასახულია მათი გადაჭრის შესაძლებლობები, დახასიათებულია პროექტის პროფესიონალი მენეჯერის როლი ბიზნეს პროექტების მენეჯმენტში. გაანალიზებულია გლობალიზაციის გამოწვევები.

ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის სტრატეგიული გადაწყვეტილებები უნდა ქმნიდეს კომპანიის და გარემოში მიმდინარე ცვლილებების მართვის შესაძლებლობებს შორის ბალანსს გრძელვადიან პერსპექტივაში. ინოვაციური განვითარების სტრატეგია გულისხმობს კომპანიის, მის მიერ წარმოებული პროდუქციის, გასაღების ბაზრების ტექნოლოგიებისა და წარმოების პროცესების ცვლილებას გლობალური ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ე.ი. ინოვაციური სტრატეგიის მთავარი წინაპირობაა ყველა მოძველებულის და უსარგებლოს (პროდუქტის, სერვისის, პროცესის...) გეგმიური და სისტემური ლიკვიდაცია და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისობაში ბიზნეს მოდელების შემუშავება პრაქტიკული რეალიზებისათვის. ზოგადად, ბიზნეს-მოდელის ცვლილებას განაპირობებს სამი ძირითადი სფერო: 1. ღირებული წინადადება, 2. მიწოდების ჯაჭვი და 3. სამიზნე მომხმარებელი - რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება, რაზეა ორიენტირებული მომხმარებლის მოთხოვნა, რა უნდა მიეწოდოს ბაზარს; როგორ უნდა მიეწოდოს ბაზარს და ვინ იქნება ამ ინოვაციური პროდუქტის, სერვისის მომხმარებლები.

კომპანიისთვის საინოვაციო სტრატეგიის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი კომპეტენციაა არსებული სტრუქტურისა და ცოდნის მიმართ. ემპირიული კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ინოვაციურობის ხარისხი და

ბუნება მჭიდრო კავშირშია ინოვაციის ლიდერის ან მიმდევრის სტრატეგიის არჩევასთან. კომპანიები, რომლებიც ირჩევენ პირველ სტრატეგიას, ძირითადად ავითარებენ პროდუქტის ინოვაციას, ხოლო სხვები ძირითადად ინიცირებენ პროცესის ინოვაციებს.

თანამედროვე ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ინოვაცია მიიჩნევა. ინოვაციის ეპოქა დაიწყო XX საუკუნიდან, და მისი პირველი ნახევარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან მან შექმნა ცოდნა, როგორც ეკონომიკის და ცივილიზაციის განვითარების ფუნდამენტი. ეს ეპოქა, რომელიც გრძელდება დღემდე, კიდევ უფრო დაჩქარდა Covid-19-ის პირობებში და საბოლოოდ გამოავლინა ფორმულა „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“. ამან კიდევ ერთხელ დაარწმუნა მსოფლიო, რომ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ეფექტიან ინოვაციურ პოლიტიკაზე.

გლობალური ინოვაციური ინდექსი (GII), რომელიც 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინოვაციური სტრატეგიებისა და მექანიზმების შესაფასებლად. მისი მიზანი ინოვაციების გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის ხელშეწყობაა. 80 ინდიკატორიდან შემდგარი GII- შვიდი ძირითადი კომპონენტის მიხედვით აფასებს ქვეყნებს. საქართველოში GII-ის გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს, რადგან იგი ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ტენდენციებსა და პერსპექტივებს წარმოაჩენს.

საქართველო 2007 წლიდან ითვლება მსოფლიო ინოვაციური გამოწვევების ერთ-ერთ მონაწილედ. 2007-2015 წლებში ქვეყანა მიიჩნეოდა სწრაფად პროგრესირებად სახელმწიფოდ, ხოლო 2013 წელს სახელმწიფომ გაამახვილა ყურადღება ინოვაციური პოლიტიკის აქტიურ განვითარებაზე, რაც უკავშირდება სახელმწიფო ინოვაციური სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებას.

გლობალური ინოვაციური ინდექსი (GII) საინტერესო სურათს გვთავაზობს საქართველოს ინოვაციური განვითარების დინამიკის შესახებ. ინდექსი ასახავს, რამდენად წარმატებულია ქვეყანა ინოვაციების ხელშეწყობაში, ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაში.

2013-2015 წლებში საქართველოს პოზიცია გლობალურ რეიტინგში 73-ე ადგილს შეადგენდა. 2016 წელს ქვეყანა მნიშვნელოვნად დაწინაურდა და 64-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, რაც მიუთითებდა სტრატეგიულ წინსვლაზე ინოვაციური გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. ამ პერიოდში საქართველო ასევე აუმჯობესებდა პოზიციებს ბიზნესის კეთების სიმარტივის საერთაშორისო რეიტინგებში.

მიუხედავად იმისა, რომ Covid-19-ის პანდემიამ და მისმა გრძელვადიანმა სოციალურ-ეკონომიკურმა გავლენებმა შეაფერხა მრავალი ქვეყნის განვითარება, საქართველომ ინოვაციური პროგრესი მაინც შეინარჩუნა. 2020 და 2021 წლებში ქვეყანამ GII-ში 63-ე ადგილი დაიკავა, რაც მეტყველებს ინოვაციური პოტენციალის სტაბილურობაზე და გარკვეულწილად, მტკიცე მდგრადობაზეც გლობალური გამოწვევების ფონზე.

დიაგრამა 4. GII კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით

2015-2024 წლებში



წყარო: აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე

2022 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა სტარტაპების დაფინანსებას და ინოვაციური პროგრამების რეალიზებას, ქმნიდა საფუძველს მდგრადი და ინკლუზიური


ეკონომიკის განვითარებისთვის. 2014-2023 წლებში დაფინანსდა 641 სტარტაპი, რომელთა საშუალებით ქვეყანაში ახალი ინოვაციური ბიზნეს იდეები და პროექტები განვითარდა.

საქართველოში განხორციელებული ინოვაციური პოლიტიკა, ზოგადად, პოზიტიურია და ქმნის ხელსაყრელ გარემოს სტარტაპების და ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის. მიუხედავად ზოგიერთი პრობლემისა, როგორცაა კვლევითი თანამშრომლობის სიმწირე და დაბალი კლასტერული განვითარების დონე, საქართველოს შესაძლებლობები ინოვაციების მიმართულებით საკმაოდ დიდია, რაც გრძელვადიან პერიოდში მის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობს. 2022 წელს GII-ში საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა, და 2023 წლის მონაცემებით ქვეყანამ 65-ე ადგილზე გადაინაცვლა. GII-ის კომპონენტებიდან საქართველოს ძლიერი მხარეებია; ბიზნეს გარემო და ბაზრის განვითარების დონე, ხოლო სუსტი მხარეებია: განათლება, კვლევითი და განვითარების მიმართულებები, ინვესტიციები და დასაქმებულთა ცოდნის დონე.

2024 წლის მონაცემებით, საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა კვლავ პოზიტიურ გავლენას ახდენს სტარტაპებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარებაზე. 2024 წელს საქართველომ GII რეიტინგში 57-ე ადგილზე გადაინაცვლა, რაც 2023 წლის 65-ე ადგილთან შედარებით 8 პოზიციით წინსვლას წარმოადგენს. 2024 წელს საქართველოს შეფასება გაუმჯობესდა 8 ძირითად კომპონენტში: ბიზნეს გარემო, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა და შემოქმედებითი პროდუქცია.

სტარტაპებში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს პროექტის მენეჯმენტში არსებული პრობლემები. კვლევებით დგინდება, რომ სტარტაპების 70 %-80 % წარუმატებლობას განაპირობებს სწორედ პროექტის მენეჯმენტში არსებული პრობლემები, კერძოდ: გამოცდილების არქონა, არაკვალიფიციურობა, არაპროფესიონალების მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგები, არასწორი კომუნიკაცია, დაბალი ხარისხის მართვის სისტემა და სხვა.

დიაგრამა 5. საქართველოში დაფინანსებული მაღალტექნოლოგიური სტარტაპები



წყარო: აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში დაფინანსებული მაღალტექნოლოგიური სტარტაპები წარმატებას აღწევენ, როდესაც გუნდის წევრები სწორად მართავენ რესურსებს, იყენებენ საერთაშორისო გამოცდილებას და დარგობრივი ცოდნას, რაც მათ საშუალებას აძლევს განახორციელონ ინოვაციური ბიზნეს იდეები. დაფინანსების მიზანმიმართული ხარჯვა, ბაზრის კვლევა, სტრატეგიული გეგმის შემუშავება და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება შეუწყობს ხელს სტარტაპების განვითარებას და მათ პოზიციონირებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. მიუხედავად წარმატებისა სტარტაპი კვლავ აწყდება ფინანსური რესურსების ნაკლებობას და პროექტის მენეჯმენტში პრობლემებს, რის გამოც მათ უწევთ მოლაპარაკებების წარმოება დამატებითი დაფინანსების მოსაზიდად. მთავარ გამოწვევად რჩება ტექნოლოგიური ცოდნის და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა, რაც სტარტაპებს შეუძლიათ გადასცენ სწორად ფორმირებული და ეფექტიანი ბიზნეს მოდელების საშუალებით.

გამოსავალი მდგომარეობს შემდეგში: აუცილებელია, რომ სტარტაპებში გათვალისწინებული იქნას პროფესიონალი მენეჯერების ან პოტენციური

ხელმძღვანელების ჩართვა, რომლებმაც იციან ბაზრის მოთხოვნები და კომპანიას სწორ გზას მიუთითებენ. საჭიროა გუნდების პროფესიონალიზაციისათვის შესაბამისი ტრენინგების და კურსების ჩატარება. მაგალითად, პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია პროექტის მენეჯმენტში, სტარტაპებისთვის საჭირო ბაზრის კვლევაზე, ფინანსურ მართვაზე და კრეატიულ უნარებზე.


ბევრი სტარტაპი ოპერირებს მხოლოდ იდეის საფუძველზე და არა გამართული ბიზნეს მოდელის მიხედვით. შედეგად, ისინი ვერ ახერხებენ პროდუქტის ბაზარზე ეფექტიან გატანასა და შემოსავლის მიღებას, ან არ იციან, როგორ დახვეწონ პროდუქტი მომხმარებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ეს ყველაფერი აფერხებს მათ გრძელვადიან განვითარებასა და წარმატებას. პრობლემის გადაჭრის გზა ის არის, რომ სტარტაპებმა შექმნან და განავითარონ გამართული ბიზნეს მოდელი. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს იმპლემენტაციის გეგმების არსებობას, რომელიც ეფუძნება სწორად გამოკვლეულ ბაზარს და მომხმარებლის მოთხოვნებს. ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების მართვა, რომ გუნდმა შეძლოს თანხების მიზანმიმართული ხარჯვა.

ბაზრის კვლევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ის საშუალებას აძლევს სტარტაპებს გააცნობიერონ მომხმარებლის მოთხოვნილებები და ტენდენციები. თუმცა, საქართველოში ბევრი სტარტაპი აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ საჭირო ცოდნა და რესურსები სწორად განახორციელონ ბაზრის კვლევა. გამოსავალი ბიზნეს გეგმების შექმნისას ბაზრის კვლევის ფაზის გაძლიერება უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი. ამისთვის, სტარტაპებმა უნდა მიმართონ პროფესიონალებს ან სპეციალისტებს, რომლებიც დახმარებას გაუწევენ შესაბამისი მონაცემების შეგროვებაში და გაანალიზებაში. კავშირი საერთაშორისო გამოცდილებასთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება შეიძლება ეფექტური იყოს ბაზრის ცოდნის გაუმჯობესებაში.

სტარტაპების 29 %-ის შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს საჭირო ფინანსების ამოწურვა. ამას ხშირად უპირისპირდება მისი მენეჯმენტის არასწორი სტრატეგია და არასწორი დანახარჯები. ფინანსური სტრატეგიის რევიზია და მართვა შეიძლება იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. სტარტაპებმა უნდა მოძებნონ მდგრადი დაფინანსების წყაროები, როგორც შიდა, ისე გარე ინვესტორებიდან. ასევე მნიშვნელოვანია სწორი ხარჯვა და ფინანსების მონიტორინგი. გარდა ამისა,

სტარტაპებმა უნდა შეიმუშაონ დეტალური ბიზნეს გეგმა, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს ფინანსურ მოთხოვნებს და ხარჯების სტრუქტურას, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და ფინანსური რისკების მინიმიზაციას.

დიაგრამა 6. პრობლემები ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვაში.



წყარო: აგებულია ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

14 %-დან 18 %-მდე სტარტაპებს აქვთ პრობლემა სუსტ მარკეტინგულ კამპანიებთან, რაც იწვევს ბრენდის ნაკლებ ცნობადობას და ბაზრის არასწორ განაწილებას. სტარტაპებმა უნდა გააძლიერონ მარკეტინგული კამპანიები, ყურადღება უნდა გაამახვილონ მომხმარებლების საჭიროებებზე და ბაზრის დინამიკაზე. აუცილებელია, რომ მარკეტინგულ გეგმებში იგულისხმებოდეს პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა სოციალურ მედიაში ეფექტური პრეზენტაცია, მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად მუდმივი უკუკავშირი და პოპულარიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ სტარტაპს აქვს ინოვაციური იდეები, მათი რეალიზაცია მხოლოდ ტექნოლოგიაზე ზრუნვით არ სრულდება, რადგან პროდუქტების განვითარება მეტ ყურადღებას მოითხოვს. სტარტაპების წარმატება და განვითარება განპირობებულია პროდუქტების მუდმივი განახლებით და მასზე ინვესტირებით. აუცილებელია, რომ გუნდებმა გააფართოონ კვლევებისა და განვითარებების გუნდი, რათა მათ შეძლონ პროდუქტის დახვეწა და მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

